იოანე პავლე II გამოსახავს ანტიქრისტეს-666

პაპი ბენედიქტ XVI აძლევს სატანას ნიშანს – „მე შენ მიყვარხარ“

კათოლიკე-პაპისტების მიერ ათონის მთის დარბევა XIII ს.-ში

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის გამოხმაურება პაპისტების „ღია წერილზე“

თბილისი
2007

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის გამოხმაურება
პაპისტების „ღია წერილზე“

ინტერნეტით გავრცელდა პაპისტების, კერძოდ, კათოლიკი „მღვდლის“, გაბრიელე ბრაგანტინის **„ღია წერილი მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს“.** ჩვენი გამოხმაურება, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია პაპისტური საკრებულოს სამხილებლად და შემდეგ ბატონ გაბრიელე ბრაგანტინის მისამართით, რომელსაც შეუძლია ამ წერილიდან ღვთივსულიერი საზრდო მიიღოს, ვიდრე საბოლოოდ ვიხელმძღვანელებდეთ ახალაღთქმისეული მოციქულებრივი შეგონებით:
– „მწვალებელსა კაცსა შემდგომად ერთისა და ორისა სწავლისა განეშორე“ (ტიტ. 3,10).

ამდენი სიცრუე, ცილისწამება, ღვარძლი, მართლაც, სატანისეული მზაკვრობა, გაუნათლებლობა, მათ შორის, რელიგიურ საკითხებში – ყოველივე ეს გასაკვირი იქნებოდა, რომ არ გვცოდნოდა, რომ იტალიიდან ჩამოსული ეს პიროვნება იმ „ეკლესიის“ შვილი და იერ-სახეა, რომელშიც ადამიანს (პაპს) კრებსითად უცოდველობის თვისება „უბოძეს“. ფანატიზმით დასნებოვნებული ეს პიროვნება, რომელმაც, როგორც ჩანს, ფანატიზმის განმარტებაც კი არ იცის, ვერ გარკვეულა ეკლესიის მისტიურ მნიშვნელობაში, მის არსში, რამეთუ საუბრობს მრავალ ეკლესიაზე და სინანულის გარეშე მათ დაახლოებაზე. ამ დროს კი წარმოთქვამს მრწამსს და ამბობს: მწამს ერთი წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაო. მან არ იცის, რომ, როგორადაც ღმერთკაც იესო ქრისტეს პიროვნებაა ერთიანი და ერთადერთი, ამგვარადვე ერთიანი და ერთადერთია ეკლესია, დაფუძნებული მის მიერ, მასში და მასზე. ამიტომაც ეკლესია არ შეიძლება გაიყოს რომელიმე კანონით, რადგან ყოველგვარი განყოფა მისი სიკვდილის მომასწავებელი იქნებოდა. ქრისტეს ეკლესიაში ყოველივე ორგანულად და მადლის მიერ არის შეკავშირებული ერთ კაცობრივ სხეულში, მისი ერთი თავის – უფალ იესო ქრისტეს წინამძღვრობით (და არა პაპის, როგორც პაპისტები სიცრუით ასწავლიან). ღმერთშემოსილი წმიდა მოციქულები ღვთივსულიერად საუბრობენ ეკლესიის ერთიანობისა და ერთადერთობის

შესახებ და ამას ყოველთვის ასაბუთებენ ეკლესიის დამფუძნებლის, უფალ იესო ქრისტეს ერთიანობითა და ერთადერთობით: **„რამეთუ საფუძველი სხვაი** (ეკლესიისათვის) **ვერავის ხელეწიფების დადებად გარეშე მისსა, რომელ იგი დადებულ არს იესუ ქრისტე“** (I კორინთ., 3,11). როგორც ამბობს დიდი სერბი ღმრთისმეტყველი, იუსტინე პოპოვიჩი: **„ეკლესია არა მხოლოდ ერთადერთია, არამედ ერთიანიც: როგორც თვით ღმერთკაცს, იესუ ქრისტეს, არ შეიძლება, რამდენიმე სხეული ჰქონდეს, ასევე შეუძლებელია მას რამდენიმე ეკლესია ჰქონდეს; აქედან გამომდინარე, ეკლესიის განყოფა, მისი დანაწევრება არსებითად და ონტოლოგიურად შეუძლებელი რამაა. ეკლესიის განყოფა-დანაწევრებანი არასდროს არ მომხდარა და არც შეიძლება მოხდეს, ხოლო, უკეთუ რაიმე იყო, რასაც ზოგან ეკლესიის განყოფას უწოდებენ, სინამდვილეში ეს მხოლოდ მოწყვეტა და მოშორება იყო ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესიისაგან და მომავალშიც, თუკი რაიმე მოხდება, მხოლოდ ეს შეიძლება მოხდეს და არა ეკლესიის განყოფა-დანაწევრება. ამგვარად, ის რტონი, რომელთაც არ სურთ, არ ძალუძთ ნაყოფი გამოიღონ, გამხმარნი მოსწყდებიან მარადის ცხოველმყოფელ ღმერთკაცებრივ ვაზს – უფალ იესუ ქრისტეს“** (შდრ. იოანე, 15,1-6).

თავის ცილისმწამებლურ მიმართვას ბატონი ბრაგანტინი შემდეგი სიტყვებით იწყებს: **– „მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვინც პაპისტია და დასაღუპავად განწირულია (თქვენი აზრით!)“.** და შემდეგ, სპეცსამსახურის აგენტივით, ქრონოლოგიური და გეოგრაფიული სიზუსტით ჩამოთვლის საქართველოში ვატიკანის პროზელიტური აგრესიის წინააღმდეგ მიმართულ ჩვენს ქმედებებს – საპროტესტო აქციებს, მედიით საჯარო მხილებებს, ნაბეჭდი ლიტერატურის გავრცელებას, სამცხე-ჯავახეთში მომლოცველობას და სხვა – და კათოლიკეებისთვის დამახასიათებელი „გულწრფელობით“ სვამს პათეტიკურ შეკითხვას: – „**მინდა გულწრფელად გკითხოთ, რა გიბიძგებთ ამგვარი საქციელისა და ამგვარი აზროვნებისკენ, თუმცა პასუხს ისევ თქვენი ნაწერებიდან, ინტერვიუებიდან, შეხვედრებიდან ვიგებ“...**

ეტყობა, ბ-ნი ბრაგანტინი მართლაც ვერაფერს იგებს, ან არ სურს, ჩასწვდეს ჭეშმარიტებას, თორემ, შეუნანებლობის შემთხვევაში, პაპისტები რომ ნამდვილად დასაღუპავად არიან განწირულნი, ეს ჩვენი აზრი კი არა, სახარების, ქრისტეს ეკლესიის სწავლებაა. რომის ადგილობრივმა

ეკლესიამ, რომელმაც შეცვალა დოგმატი სულიწმიდის გამომავლობის შესახებ, პაპს მიანიჭა ღმრთის თვისება (უცდომელობა) და ქრისტეს ნაცვალად დასახა დედამიწაზე; ასევე, მიიღო რა სხვა დოგმატური ცდომილებანი, მოსწყდა ქრისტეს ერთიან ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ეკლესიას (რომლის ღირსეული ნაწილიც იყო საუკუნეების მანძილზე) და ჩავარდა სულიწმიდის გმობაში – ანუ მწვალებლობაში. ამით მან საკუთარი თავი საუკუნო წარწყმედისათვის გაწირა:

„ამინ გეტყვი თქუენ, ვითარმედ: ყოველივე მიეტეოს ძეთა კაცთა ცოდვანი და გმობანი, რაოდენსაცა ჰგმობდენ; ხოლო რომელმან თქუას გმობაი სულისა წმიდისათვის, არა აქუს მიტევებაი უკუნისამდე, არამედ თანამდებ არს იგი საუკუნოისა სასჯელისა“ (მარკ. 3, 28-29).

„რომის, ანუ, უფრო სწორად, პაპისტური ეკლესია, ქადაგებს არა წმინდა მოციქულების, არამედ პაპების დოგმატებს“ (წმ. ნექტარიოს პენტაპოლელი).

„ლათინებს არ ძალუძთ ცხონების ნაყოფის გამოღება, არამედ ხმებიან და იღუპებიან“. – წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელი.

„ჩვენ განვიშორეთ ლათინები არა რაიმე სხვა მიზეზით, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მწვალებლები არიან“ (წმ. მარკოზ ეფესელი).

„პაპიზმი – ასე ეწოდება მწვალებლობას, რომელმაც მოიცვა დასავლეთი, რომლისგანაც, როგორც ტოტები ხისგან, ისე წარმოიშვა სხვადასხვა პროტესტანტული მოძღვრება. პაპიზმი პაპს ქრისტეს თვისებებს განუკუთვნებს და ამით უარყოფს ქრისტეს... პაპი პაპისტების კერპია, ის მათი ღვთაებაა. ამ საშინელი ცდომილების გამო ღმრთის მადლმა დატოვა პაპისტები; ისინი მიეცნენ საკუთარ თავსა და სატანას – ყველა მწვალებლობის, მათ შორის, პაპიზმის, გამომგონებელსა და მამას“ (წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი).

„ეკლესიის ჭეშმარიტ შვილებს გიბრძანებთ! – გაექცეთ მღვდლებს, რომლებიც ლათინურ საცდურს დაემორჩილნენ, არ შეხვიდეთ მათ ტაძრებში, არ მიხვიდეთ მათთან კურთხევის მისაღებად. უმჯობესია ილოცოთ სახლში, ვიდრე ლათინებთან ერთად წახვიდეთ ტაძარში და შემდეგ მათთან ერთად ჯოჯოხეთში გაემგზავროთ“ (წმ. გერმანე ახალი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი).

ასეთია ქრისტეს ეკლესიის (და არა ჩვენი) აზრი და სწავლება პაპიზმის შესახებ და სწორედ ეს გვიბიძგებს **„ამგვარი**

საქმიანობისკენ“ და **„ამგვარი აზროვნებისაკენ“,** რათა ვამხილოთ დაუპატიჟებელი მისიონერები, რომლებიც, თავიანთი წინამორბედების მსგავსად, თაღლითურად იღვწიან, აცდუნებენ სიდუხჭირით შევიწროვებულ ქართველობას, ეწევიან აგრესიულ პროზელიტიზმს, მოსყიდვითა და ცდუნებით იბირებენ მათ და აგდებენ მწვალებლობაში. ამიტომ ჩვენი მართლმადიდებლური და მამულიშვილური ვალია, გვერდში ამოვუდგეთ მოყვასს, განსაკუთრებით, ძირძველი ქართული მართლმადიდებლური რეგიონის მოსახლეობას, ქრისტიანულად, გულწრფელად აღვასრულოთ ღმრთის ცნება: **„გიყვარდეს მოყვასი შენი“**, და არა ისე, როგორც ეს მწვალებლებსა და სექტანტებს ესმით! რადგან, თუ ჭეშმარიტად გიყვარს მოყვასი, მაშინ იმას უნდა ფიქრობდე და იმისათვის იღვწოდე, რომ არ დაიღუპოს და სამუდამოდ არ დაისაჯოს მისი უკვდავი სული: **„მე ვურჩევ ყურადღებითა და მოთმინებით გაუკეთონ სიკეთე ყოველ ადამიანს და ყველას დაეხმარონ საჭიროების მიხედვით. ამასთან მე ვამბობ: დაუშვებელია, დაეხმარო მწვალებლებს მათ უგუნურ სარწმუნოებაში განსამტკიცებლად; აქ, პირიქით, მტკიცე და შეურიგებელი უნდა იყო. მე დავარქმევდი არა სიყვარულს, არამედ კაცთმოძულეობას, როცა მწვალებლებს ვინმე მათეულ ცდომილებაში განამტკიცებს, რაც მათი უფრო დიდი დაცემისა და გარდაუვალი დაღუპვის მიზეზი გახდება“** (წმ. მაქსიმე აღმსარებელი).

ღმრთის შეწევნითა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის აქტიური თანადგომით კათოლიკეებისგან ცდუნებული ჩვენი თანამოძმეები, განსაკუთრებით, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა, ტოვებს მწვალებლურ პაპისტურ საკრებულოს და უბრუნდება წმინდა წინაპართა ჭეშმარიტ სარწმუნოებას, რაშიც ჩვენს ერთობასაც შეაქვს თავისი მოკრძალებული წვლილი. სწორედ ეს არის რეალური მიზეზი კათოლიკეების უკიდურესი გაღიზიანებისა, ბ-ნი ბრაგანტინის განაწყენებისა და ჩვენზე თავდასხმისა.

ბ-ნი ბრაგანტინი ცილს გვწამებს, რომ თითქოს ჩვენ ყველა სხვა ეკლესიას, ყველა დანარჩენ ქრისტიანს **„წყეულ მასად“** მოვიხსენიებდეთ და მხოლოდ საქართველოს ეკლესიისა და ლამის არის მხოლოდ ჩვენი კავშირის წევრებს ვთვლიდეთ **„დახსნილ მასად“.** ეს გამოგონილი სიცრუე და ცილისწამებაა. როდის და სად დავწერეთ და ვთქვით მსგავსი რამ? იქნებ წერილობით გამოაქვეყნოს ფაქტები? შემდეგ ბ-ნი ბრაგანტინი აგრძელებს ჩვენი მისამართით ცრუ ბრალდებებს: **„ასე მგონია, თითქოს თქვენი მისია ხალხის დაშინება, ხალხის**

დისკრიმინაცია იყოს. ნუთუ ასე იოლი გეჩვენებათ იმის გარკვევა, თუ ვინ ცხონდება და ვინ არა? რა არის თქვენთვის ცხონება?“.

ჩვენ ქრისტეს ეკლესიის სწავლებით ვიცით, თუ სად არის ცხონება: ცხონება არის იქ, სადაც არის ჭეშმარიტი სწავლება, ანუ მართლმადიდებელ ეკლესიაში, რომელსაც არასოდეს არ გადაუხვევია იესო ქრისტეს მოძღვრებისაგან. არსებობს ცნება „მსოფლიო“ (ოიკუმენიკოს), რომელიც მხოლოდ და მუდამ მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნოდა, თანამედროვე (ე.წ. ჟენევის, რომელიც ემს-ის ცენტრია) „ეკუმენიზმის“ დაბადებამდე კარგა ხნით ადრე. ესაა ეკუმენურობა ანუ საყოველთაოობა წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიისა, რომელიც დააარსა უფალმა იესო ქრისტემ, რათა მისი მეშვეობით მთელს მსოფლიოში გავრცელებულიყო ქრისტეს მიერ მოტანილი ღმრთივგამოცხადებული სწავლება და აღსრულებულიყო ქრისტესმიერი ცხონება. გავბედავთ და ვიტყვით, რომ ჩვენ სწორედ ამ ძველსა და მარად ახალ ეკუმენიზმს ვეკუთვნით, ანუ წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის საყოველთაოობას. ყველა ერის შვილი, რომელიც ეკლესიის წიაღშია, ცხონების გზაზე დგას, მათ შორის, არა ერთი იტალიელიც, რომელიც სწორედ საქართველოში გაეცნო მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლების საფუძვლებს.

ბ-ნი ბრაგანტინის გაგვკვირვებია – ვინ საუბრობს „წყეულ მასებზე“? ვის, თუ არა ინკვიზიტორი წინაპრების სულიერ მემკვიდრეს, კარგად უნდა ახსოვდეს, რომ „წყეულ მასებსა“ და „კუდიანებზე“ სწორედ მისი „მამა“–„პაპები“ ნადირობდნენ და იესო ქრისტეს სახელით ათასობით ადამიანს წვავდნენ ინკვიზიციის ცეცხლში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ პაპისტები განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევიან. გავიხსენოთ ინკვიზიცია, ჯვაროსანთა მიერ ათონის მთის დარბევა და მოხუცებული ქართველი ბერების ზღვაში ჩახრჩობა, ხოლო ახალგაზრდების რომში იუდეველებზე მონებად გაყიდვა; ერთ ღამეში, სარწმუნოებრივი განსხვავების გამო, საკუთარი ხალხის – 30 000 ადამიანის ამოჟლეტა (ე.წ. ბართლომეს ღამე); ჰიტლერული გერმანიის მხარეზე მეომარი ფაშისტი კათოლიკე უსტაშების, მათ შორის სასულიერო პირების მიერ მართლმადიდებელი სერბების მიმართ საკონცენტრაციო ბანაკებში გამოჩენილი განსაკუთრებული სისასტიკე, ფაშისტებსაც რომ ანცვიფრებდა; პოლონეთისა და დასავლეთ უკრაინის უნია... პაპისტების მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი რომელი ერთი ბოროტება და დანაშაული ჩამოვთვალოთ?!

დღეს ნეოინკვიზიტორები უფრო დახვეწილი მეთოდებით მოქმედებენ. პაპის საყდარმა „ტოლერანტობის“ მეხოტბის ნიღაბი მოირგო, მაგრამ შეფარულად ყველანაირად ცდილობს მართლმადიდებლურ ქვეყნებში

გააღვივოს რელიგიური სეპარატიზმი და შუღლი, უბიძგებს რა თავის სამწყსოს მართლმადიდებლებთან დაპირისპირებისაკენ და მართლმადიდებლური ტაძრების მიტაცებისაკენ, ცდილობს ადგილობრივ მართლმადიდებელთა შევიწროებასა და დევნას, ეწევა ისტორიის ფალსიფიცირებას; მეორე მხრივ კი, ცილისმწამებლურად ცდილობს აგრესიულობაში სხვების დადანაშაულებას და აკეთებს ცინიკურ მოწოდებებს ე.წ. ტოლერანტობისა და „სიყვარულის დიალოგისკენ". პაპისტების იეზუიტური დოქტრინაც ხომ ეს არის – **„მიზანი ამართლებს საშუალებას!"** ამიტომაც ივსება მათი ნიღბების გარდერობი ახალ-ახალი სიცრუის ფიზიონომიით.

ბ-ნი ბრაგანტინისა და სხვა ნეომისიონერების თავხედობა იქამდეც კი მიდის, რომ გვსაყვედურობენ ჩვენ, თუ როგორ გავბედეთ და როგორ ჩავედით სამცხე-ჯავახეთში, ჩვენი სამშობლოს ამ ისტორიულ მხარეში, მოსალოცად, ჩვენი ხორციელი ნათესავებისა და მეგობრების მოსანახულებლად, გასამხნევებლად, დასახმარებლად; ჩავედით, რათა ჩვენი სახელოვანი წინაპრების პატივისცემისა და მათი გზისკენ შემობრუნებისაკენ მოგვეწოდებინა. გვაპატიეთ, მაგრამ ვის დაკარგვიხართ, ვის დაუპატიჟნიხართ, რომ ღვარძლსა და ბოროტ-მწვალებლურ თესლს თესავთ ჩვენს სამშობლოში? იქნებ მიხედოთ თქვენს ქვეყნებს, სადაც სარწმუნოება სულს ღაფავს და უღმერთობის უკუნი ისადგურებს?

აკი თავად ბ-ნი ბრაგანტინი აღიარებს ამ ფაქტს, როდესაც ამბობს: **„თუკი ევროპაში ქრისტიანობას უღალატეს და მიივიწყეს, თუკი ევროპის მრავალი ტაძარი დაცარიელებულია..."** და რა ძნელი მისახვედრია, თუ რამ ჩამოიყვანა ეს კაცი საქართველოში, ძველი პაპისტი მისიონერების სიტყვებით რომ ვთქვათ, „კარგი მოსავლის ასაღებად", იქ, სადაც ტაძრები მრევლს ვერ იტევს?. შემდეგ იგი აგრძელებს და ცდილობს, თავი გაიმართლოს:: **„მაგრამ რამდენი სხვა სალოცავი ადგილები აღმოცენდა ოჯახებისთვის, ახალგაზრდებისთვის – – ქრისტიანობა არ მომკვდარა ევროპაში, როგორც ეს თქვენს ნაწერებში იკითხება; დიახ, გვერდს უვლიან „ქრისტიანულ კულტურასთან" დაკავშირებულ ქრისტიანულ ფორმებს, რომლებმაც თავიანთი დრო მოჭამეს, მაგრამ საზოგადოებაში, პოლიტიკაში, კულტურაში... ქრისტიანობის სხვადასხვა ფორმები იბადება."**

მართლაც, უგუნური უნდა იყოს ადამიანი, რომ ჩვენს ნაწერებში ვერ ამოიკითხოს წუხილი ევროპის სულიერი გაღატაკების გამო. ბოლო დროის ევროპაში მცხოვრებ მამებთან ერთად კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ ევროპის სულიერი დეგრადაციის უმთავრესი მიზეზი არის

პაპისტური საკრებულო თავისი დაუსრულებელი დოგმატური თუ კანონიკური სიახლეებით, რომელმაც თავის ფანატიკურ წიაღში წარმოშვა პროტესტანტიზმი. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს: თუკი ევროპაში ტაძრები ცარიელი აქვთ, საკონცერტო დარბაზებად აქციეს, საქართველოში რას მორბიან? იქ იღვაწონ. მაგრამ არა, ბრაგანტინი და ძმანი მისნი აგრძელებენ მათი წინამორბედი მისიონერების საქმეს, რომლებმაც თაღლითურად და გაიძვერობით: ფულით, მედიკამენტებითა და სხვა საშუალებებით, უაღრესად შეჭირვებული ქართველი ხალხის ერთ ნაწილს თავს მოახვიეს ცრუ სწავლება (იხ. პროფ. ილია ტაბაღუას „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში“, ტ.1-3). დღესაც იმავეს აკეთებენ, დაარსებული აქვთ ორგანიზაცია „კარიტასი“ და მისი მსგავსი რეგიონალური ორგანიზაციები, თემქის პოლიკლინიკა და სხვა პროზელიტურ-კორუფციული „ჰუმანიტარული“ დაწესებულებები, ასევე, პიცერიები, რომლებშიც ნუნციატურის კომერციული ინტერესები დაუფარავი თვალითაც ჩანს. ამიტომაც წუხან ეს ნეომისიონერები, ვინძლო, ვატიკანმა მათი მისიონერული მოღვაწეობა არადამაკმაყოფილებლად მიიჩნიოს და უკან არ გაიწვიოს ისინი, მაშინ ხომ დაკარგავენ პიცერია-საფუნთუშეებსა და სხვა ქონებას?

მართლმადიდებელ ეკლესიაში, პაპისტურისგან განსხვავებით, დრომოჭმული არაფერია. სახარებისეული სწავლება მარად უცვლელია და ქრისტიანობის ფორმებიც, მის შინაარსთან ერთად, უცვლელია. ქრისტე, მისი ეკლესია და მისი სწავლება, რაც იყო გუშინ, ის არის დღეს და ჰგიებს უკუნითი უკუნისამდე. მართლმადიდებელ ეკლესიაში დრო გაჩერებულია და პირველ საუკუნეს უჩვენებს – ამიტომაა იგი ერთადერთი და ჭეშმარიტი. ეს პაპისტებმა შეცვალეს საკუთარი ჭკუით საღვთო სწავლება, რითაც მოწყდნენ საყოველთაო, მართლმადიდებელ ეკლესიას და ანათემის ქვეშ მოექცნენ. მწვალებლობაში ჩავარდნილებმა კი შეცვალეს ღმერთი ადამიან-პაპით, შეიძინეს დესტრუქციული მუხტი, შვეს პროტესტანტიზმი, პირველსაუკუნეობრივი სინათლის ნაცვლად შუასაუკუნეობრივი ბნელით შეიმოსნენ, შედეგად, პაპისტურ-პროტესტანტულმა ევროპამ და ევროპელებმა დაიწყეს გამოგონება და მარჩიელობა ღმერთზეც და ადამიანზეც – ყველამ თავისებურად; და იმდენი სწავლება გამოიგონეს, მარტო მათი ჩამოთვლით აგემღვრევა გონება. სამწუხარო ფაქტია, რომ ევროპაში დღეს ქრისტიანობა მომაკვდავია. ახალ ევროკონსტიტუციაში ნახსენებიც კი არ არის ღმერთი, ქრისტე.

პაპისტების ცინიზმს საზღვარი არა აქვს, როდესაც მოითხოვენ ტაძრების „დაბრუნებას“, ამისთვის აპირისპირებენ ივლიტასა თუ სხვა

სოფლებისა და ქალაქების მოსახლეობას ერთმანეთთან, უკანონოდ და შენიღბულად აშენებენ პაპისტურ ტაძარს ქ. თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე და სხვა ადგილებში, საქართველოს სკოლებში ცდილობენ კათოლიკური ორიენტაციის კლუბების ჩამოყალიბებას, რისთვისაც იღვწოდა „კათოლიკური დახმარების სამსახური“ (CRS) და რისთვისაც გამოყოფილი იყო 5 მლნ. დოლარზე მეტი თანხა, ხსნიან პროზელიტურ-კომერციული დანიშნულების მქონე უმაღლეს სასწავლებელს - „სულხან-საბას სახ. თეოლოგიური ინსტიტუტს“, რომელშიც, რიგ შემთხვევაში, მოტყუებით ხდება აბიტურიენტების გადანაწილება. პაპისტები თავიანთ ჟურნალებსა და წერილებში დასცინიან მართლმადიდებელ სამღვდელოებას, ბნელებსა და გაუნათლებლებს უწოდებენ მათ (იხ. ჟურნალი „საბა“, №9, სექტემბერი, 2006წ.), შეურაცხყოფენ საპატრიარქოსა და იმ სახელისუფლებო შტოებს, რომლებსაც სურთ, აღკვეთონ მათი თავგასული თვითნებობა.

სამართლიანია ჩვენი მოთხოვნა პაპისტების მიერ სულხან-საბა ორბელიანის სახელის წამდაუწუმ და სპეკულაციურად გამოყენების აღკვეთისათვის, რადგან ისინი ამით მის ყოფილ კათოლიკობაზე მიანიშნებენ და მით შეცდომაში შეჰყავთ და აცდუნებენ ქართველ მოსახლეობას. სულხან-საბამ, რომელიც მრავალგზის მოტყუებული დარჩა პაპისტებისაგან, ბოლოს შეინანა თავისი კათოლიკობა, დაგმო იგი, დაუბრუნდა მართლმადიდებლობას, აღესრულა მართლმადიდებლად და დაკრძალულია მართლმადიდებლურ ტაძარში. უღმერთო პაპისტები ვერ ხვდებიან, რომ სულხან-საბას სახელის გამოყენებას მისი ქართველობის გამო კი არ ვაპროტესტებთ, არამედ მართლმადიდებლობის გამო, რათა არ შეურაცხყონ მისი სახელი და სარწმუნოება. მათ შეუძლიათ კათოლიკე პადრე მიხეილ თამარაშვილის სახელი გამოიყენონ თავიანთი სასწავლებლისა და ჟურნალისათვის, ვინ უშლით.

ჩვენი საქმიანობით ხომ შეწუხებულია ბ-ნი ბრაგანტინი და გამომძიებელივით ასეთ კითხვასაც გვისვამს: **„საინტერესოა, საიდან იღებთ თანხას იმისათვის, რასაც აკეთებთ?“.** ალბათ, დიდი ინკვიზიტორი იქნებოდა ინკვიზიციის დროს რომ ეცხოვრა. გამჭრიახობით კი ვერ გამოირჩევა, რადგან დასმულ კითხვას მოაყოლებს უპრეცედენტო, თვითაღიარებით და თვითლუსტრაციულ მეორე კითხვას: **„იქნებ ირიბი გზით მათგან, ვისაც ებრძვით?“** რაო, ბატონო გაბრიელე, ქრთამებს არიგებთ თქვენი ბინძური საქმეების საკეთებლად? ცდუნებული და „გამაზული“ გყავთ „ჰუმანიტარულ“ დახმარებას დახარბებული თქვენი ფარული მოკავშირეები? ჩვენ კი გვინდა გითხრათ, რომ თქვენ ვერასდროს ვერ ჩასწვდებით ქართველი ადამიანის მართლმადიდებლურ სულს -

საქართველოში, მაშინაც კი, როდესაც უკიდურესი გაჭირვება იყო, უდიდესი ტაძრები შენდებოდა, ხალხი უკანასკნელს იღებდა, რათა ღმერთისთვის პატივი მიეგო და ეკლესია ძლიერი ყოფილიყო. ამას ვერასდროს ვერ გაიგებს პაპისტი ბრაგანტინი.

მართლმადიდებლებს რჯულის კანონით გვეკრძალება მწვალებლებისგან შემოწირულობის მიღება, „ირიბი გზით“ შემოგვთავაზებენ მას თუ პირდაპირ. ვინც მწვალებლებისგან თუ სექტანტებისგან იღებს დახმარებას და „ფოჩიანი კამფეტების“ გამო ღალატობს მამა-პაპათა ჭეშმარიტ სარწმუნოებას, ვერცხლისმოყვარებასა და იუდას ცოდვაში ვარდება. **„მე ვამჯობინებდი, ათასობით ეშმაკეულთან მქონოდა საქმე, ვიდრე თუნდაც ერთ ვერცხლისმოყვარესთან, რამეთუ არც ერთ ეშმაკეულს არ ეყოფა კადნიერება იმისათვის, რაც იუდამ ჩაიდინა“,** – აღნიშნავს წმ. იოანე ოქროპირი.

ბ-ნი ბრაგანტინი საყვედურობს საქართველოს ეკლესიას გზებზე ჯვრების აღმართვასთან დაკავშირებით და ამბობს: **„დიახაც რომ, წმინდა ჯვრის არასწორი გამოყენების გზით, რომელიც ლამის საგზაო ნიშნად, ამ ეკლესიის ერთადერთ დამახასიათებელ ნიშნად ქცეულა“**. ამ ერთ ფრაზაში შეიკრიბა პაპიზმის უგუნურება, ფარისევლობა და სიცოფე, როგორც პავლე მოციქული ამბობს: **„რამეთუ სიტყვაი იგი ჯუარისაი წარწყმედულთა მათთვის სიცოფე არს, ხოლო ჩუენ ცხონებულთა ამათთვის ძალ ღმრთისა არს“** (Iკორ. 1,18). ჯვარი ეშმაკს აცოფებს, ასევე, მის მიმდევრებს, რომლებიც მოეჯარნენ საქართველოს და, სადაც შეძლებენ, თხრიან, აქცევენ და შეურაცხყოფენ ჯვარს. ჩვენთვის კი ჯვარი, დიახაც, გზამკვლევი და „საგზაო ნიშანია“, რადგან მისით გადავრჩით, მისით მიუღია ქრისტეს ერსა და მხედრობას ძლევაი ბარბაროსთა ზედა. პაპისტო ფარისევლებო, ვითომ რომ აღიარებთ ქრისტეს სწავლებასა და მსოფლიო საეკლესიო კრებებს, გადახედეთ VII მსოფლიო საეკლესიო კრებას, რომელიც სწორედ ჯვრის ნიშების აღმართვას გვიბრძანებს გზებზე, გზაჯვარედინებსა თუ სხვა გამოსაჩენ ადგილებზე, ეშმაკისა და მისი მიმდევრების, მათ შორის, წინასწარმეტყველურად, პაპისტების დასაფრთხობად.

ბ-ნი ბრაგანტინი ჩვენი ყველა მოსაზრების გაბათილებას ცდილობს იმ არგუმენტით, რომ კათოლიკეების მხრიდან ჰომოსექსუალთა ქორწინებისა და ცხოველების „კურთხევის“ შესახებ ჩვენს გამონათქვამებს უსაფუძვლოს უწოდებს. კარგი იქნებოდა, წაეკითხა ჟურნალი “თაიმი“-ს 1989წ. №11, მსოფლიოს ათზე მეტ კათოლიკურ ქვეყანაში კათოლიკურ ტაძრებში ოფიციალურად წერენ ჯვარს ჰომოსექსუალებს. არც ის დღეა შორს, როდესაც ვატიკანიც დე-ფაქტო აღიარებს ამ მოვლენას.

ინტერფაქსის ცნობით (რომი, 16 დეკემბერი) **„იტალიელ გეი-მღვდლების ჯგუფმა გააპროტესტა ვატიკანის ინსტრუქცია ჰომოსექსუალთა მიმართ, რომლებსაც სურთ სამღვდელო დასში ყოფნა. კოლექტიურ განცხადებაში ამ მღვდლებმა გამოთქვეს წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ წმინდა საყდრის პოლიტიკა მათ აქცევს ეკლესიის „არასასურველ შვილებად“. დოკუმენტის ავტორებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ მათი ერთსქესობრივი სიყვარული არ უშლით მათ, იყვნენ კარგი მღვდლები...“**. ვატიკანის „პრინციპულობა“ კი იმაში მდგომარეობს, რომ ჰომოსექსუალთა მღვდლობისათვის საკმარისი 3 წლიანი თავშეკავება დააწესა.

ბატონ ბრაგანტინს, ასევე, ვურჩევდით, მაისში ან ნოემბერში „წმ. ფრანცისკ ასიზელის“ ხსენების დღეს, ჩაბრძანებულიყო პარიზში და „წმინდა რიტას ეკლესიაში“ დასწრებოდა ძაღლების, კატების, ფრინველების, ზღვის ღორების, თევზების თუ სხვა სახის ცხოველების „კურთხევას“. აი, ინებეთ ამის ამსახველი ფოტოსურათები.

ისიც საკითხავია, ბ-ნი ბრაგანტინი რატომ არ ახსენებს სხვა მოვლენასაც? ეს არის ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილებს შორის ქორწინება, რაც მართლმადიდებელთათვის და, კერძოდ, ქართველთათვის მიუღებელი მოვლენაა. ჩვენთან ხომ ახლო ნათესავები და-ძმებივით ერთად იზრდებიან? მგელმაც კი იცის ახლო ნათესავი, ლათინებს კი მრუშული მზერა უჭირავთ მათზე. ან, იქნებ, „უცთომელ“ პაპ იოანე-პავლეს როკმენ ბობ დილანთან ერთად არ უცეკვია, ფეხბურთელ რაულის ნომრიან ფეხბურთის მაისურსა და ტრუსებში გამოწყობილს მესა არ ჩაუტარებია, ან, იქნებ, სიქსტის კაპელაში მონაზვნურ ორდენთა ტურნირში ფეხბურთი არ უთამაშია? კიდევ ჩამოვთვალოთ?!

და, ბოლოს, სიყვარული არა გაქვთო, გვსაყვედურობს ბ-ნი ბრაგანტინი და იეზუიტური თვალთმაქცობით გვეუბნება, რომ, თურმე, ჩვენს **„სტატიებში არ იგრძნობა სიყვარული და**

თანაგრძნობა, ურთიერთსაუბრის სურვილი, არამედ იკითხება პესიმიზმი, დამცირება, გაყოფა, მხოლოდ ნეგატიური მხარეების ძიება“. მას, ალბათ, „სრულ-ყოფილებისათვის“ მიუღწევია, რადგან თავის მიმართვაში ისე „გვეფერება“ და „სიყვარულით“ ისე გვიწოდებს ყალბებს, ცრუებს, ბანალურებს, ცალმხრივებს, უვიცებს, ფანატიკოსებს და მისთ., რომ მრავალჭირნახულ ინკვიზიტორსაც კი შეშურდებოდა. მას მაცხოვრის სიტყვებს შევახსენებთ: **„ორგულო! აღმოიღე პირველად დვირე თუალისაგან შენისა“** (მათ. 7,5).

პაპი იოანე პავლე II ტრუსებში

პაპისტებს სიყვარული ფარისევლობისა და პირმოთნეობისაგან ვერ გაურჩევიათ: სიყვარული ის არის, როდესაც ცდომილებაში მყოფს ეტყვი: ძმაო, ცთომილებაში ხარ და დაიღუპები! და არა ის, რასაც ლათინები ამართლებენ: ჩვენი ეკლესიაც სიმართლეს ასწავლის და თქვენი ეკლესიაცო, გვქონდეს ერთმანეთში თანხმობა და სიახლოვეო. თუმცა ამ სიცრუეს ნიღაბი ჩამოხსნა ახლად არჩეული პაპის ამ ბოლო დროს გაკეთებულმა განცხადებამ, რომ, თუ-რმე, სრული ჭეშმარიტების მატარებელი პაპისტთა საკრებულოა, ხოლო სხვა ეკლესიებში ცდომილებები არსებობს.

იოანე პავლე II გამოსახავს ანტიქრისტეს-666

აი, როგორი „სიყვარული“ იციან პაპისტებმა (ჟურნალი „საბა“, №9, 2006წ): **„დაბალი სასულიერო განათლების მქონე მართლ-მადიდებელ მღვდლებს ეშინიათ დასავლეთში მომზადებული სასულიერო კადრებისა. ეშინიათ იმისაც, რომ აქტიურად მოღვაწე კათოლიკე მღვდლები სულ უფრო მზარდ სიმპათიებს იწვევენ რიგით მართლმადიდებლებში. ერთი სიტყვით, მართლმადიდებლებს**

პრობლემები ემატებათ კათოლიკების მხრიდან. თუ უარს არ იტყვიან აღმოსავლურ თვითდაჯერებულობაზე, სიზანტეზე, უდარდელობაზე, შეიძლება მრევლმა თქვას მათზე უარი“. აი, ასეთი დაცინვითა და იეზუიტური უტიფრობით აკეთებენ პაპისტები საქართველოში მათ მიერ წარმოებული აგრესიული პროზელიტიზმის თვითაღიარებით ჩვენებას.

და, კიდევ, პაპისტების „სიყვარულის“ ნიმუშად დავასახელებთ კათოლიკე „ეპისკოპოს“, ჯუზეპე პაზოტოს ე.წ. „სამწყსო მიმართვას“ (2007წ.) სოფელ არალის მოსახლეობისადმი, რომელშიც სიცრუით მეტყველი სული სატანისეულ შეგონებით აცდუნებს და აშინებს არალის მოსახლეობას, როდესაც ეუბნება მათ, რომ ის კათოლიკი, რომელიც მართლმადიდებლობას მიიღებს, ჯოჯოხეთში წავაო. აი, თქვენი სიმართლე და თქვენი სიყვარული ბრაგანტინებო, პაზოტოებო, გეჯუროტებო და ძმანნო მათნო. გულისხმის საყოფად გთავაზობთ ათონის მთის იმ ბერების დღემდე უხრწნელი გვამების სურათს, რომლებმაც XIII საუკუნეში კათოლიკე-პაპისტების მიერ ათონის მთის დარბევისას შიშის გამო კათოლიკობა მიიღეს. დააკვირდით მათ სახეებს, პაპისტებო, შიშით შეიმოსეთ, შეინანეთ, და „ძე შეცთომილებს“ გულში ჩაგიკრავთ.

უხრწნელი, გაშავებული სხეულები იმ ბერებისა, რომლებმაც შიშის გამო კათოლიციზმი მიიღეს XIII ს.-ში

ღმერთმა დაგლოცოთ, გაკურთხოთ და მოგაქციოთ ჭეშმარიტებაში. ჩვენ პავლე მოციქულისეულ სიყვარულს ვესწრაფვით, რომელიც სულგრძელია და ტკბილ; რომელსაც, პაპისტებისაგან განსხვავებით, არ შურს და არ უხარიან სიცრუესა ზედა (Iკორ,13).

კეთილი სურვილებით,
მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი
თბილისი, 2007 წ.